ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VI 2014

დავით გეგეჭკორი
ირმა გოგოლიძე

საერთაშორისო კონფლიქტები და რელიგიური ფუნდამენტალიზმი

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში უმნიშვნელოვანესია რელიგიური ფუნდამენტალიზმის როლი. არაერთი მაგალითია კონფლიქტებისა, რომლებიც რელიგიური ხასიათით განისაზღვრება: სამოქალაქო ომი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის ჩრდილოეთ ირლანდიაში; ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი; შეტაკებები ფილიპინებში მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის; ასევე ავტორიტარული რეჟიმების აღზევება ირანში, სუდანსა და ავღანეთში; ურიცხვი ტერორისტული აქტი ახლო აღმოსავლეთში, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში; შეტაკებები ქაშმირსა და ინდოეთში; კონფლიქტი ინდუსებსა და სიქჰებს შორის პენჯაბში, ომი ბუდისტებსა და ინდუსებს შორის შრი-ლანკაში...(კიუნგი). დღეისათვის რელიგიური ფუნდამენტალიზმი ასოცირდება მსოფლიოს ყველა ძირითად რელიგიასთან და გულისხმობს უფრო რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობას, ვიდრე საკრალური ტექსტების უტყუარობის ჭეშმარიტების მტკიცებას.

კომუნიზმის კოლაფსის შემდეგ გაჩნდა მოსაზრება, რომ მარქსიზმს, მსოფლიო წესრიგისათვის საფრთხის შექმნის თვალსაზრისით, რელიგიური, ძირითადად კი – ისლამური ფუნდამენტალიზმი ჩაენაცვლა (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 337). ცივი ომის დასრულების შემდეგ, ისტორიულმა კულტურულმა განსხვავებამ დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის აქტუალურობა შეიძინა და გახდა კულტურული უნდობლობის ატმოსფეროს შექმნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. დისკუსიაში "ცივილიზაციათა შეჯახების" შესახებ დასავლური და ისლამური ცივილიზაციების დაპირისპირებას ეთმობა ფუნდამენტური ადგილი (გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, 2001, გვ. 197). XX საუკუნის მიწურულს საკმაოდ პოპულარული გახდა ამერიკელი პოლიტოლოგის სემუელ ჰანთინგთონის ნაშრომი "ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა". ჰანთინგთონის თვალსაზრისით, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიოსათვის კონფლიქტების წყარო იქნება არა იდეოლოგია და ეკონომიკა, როგორც ადრე, არამედ ცივილიზაციური კუთვნილება. ცივი ომის დროინდელი ბიპოლარული სამყარო ეტაპობრივად გადადის მულტიპოლარულ და მულტიცივილიზაციურ განზომილებაში. ბევრი სახელმწიფო კვლავაც დარჩება საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ მოქმედ პირად, მაგრამ გლობალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კონფლიქტები გაიშლება ცივილიზაციათა შორის (ს. ჰანთიგთონი, 1996, გვ. 3). ჰანთინგთონის აზრით, ცივილიზაციის განმსაზღვრელი მთავარი ელემენტია რელიგია, ვინაიდან ხშირად ერთი და იმავე ეთნიკური ჯგუფის, ერთ ენაზე მოლაპარაკე, მაგრამ სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ხალხები ერთმანეთს უმოწყალოდ ხოცავენ (მაგ., ლიბანი, იუგოსლავია, ინდოეთი).

ჰანთინგთონი ხაზს უსვამს აღმავალ საფრთხეს, რომელიც მოდის სამხრეთიდან და უკავშირდება მუსლიმურ და კონფუციანურ ცივილიზაციებს, რომლებიც უპირისპირდებიან მათთვის მტრულ და უცხო დასავლეთს. ჰანთინგთონის ჰიპოთეზის თანახმად, XXI საუკუნე იქნება მსოფლიო ცივილიზაციებს შორის დაპირისპირების ეპოქა და ძირითადი წინააღმდეგობა იმ სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის არის მოსალოდნელი, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას მიეკუთვნებიან (დასავლური, სლავურ-მართლმადიდებლური, ისლამური, კონფუციანური, იაპონური, ინდური, ლათინურ-ამერიკული და, შესაძლოა, აფრიკული). ეს ცივილიზაციები, გარდა აფრიკულისა, ჰანთინგთონის განსაზღვრების შესაბამისად, ემყარება რელიგიას, როგორც ერთ-ერთ მსაზღვრელს, ზოგი კი მთლიანად რელიგიით განისაზღვრება (ჯ. ფოქსი, 2005). ვესტფალის ზავიდან (1648 წ.) საფრანგეთის რევოლუციამდე (1789 წ.) დასავლური ცივილიზაციის შიგნით მიმდინარეობდა დინასტიური ომები. საფრანგეთის რევოლუციამ წარმოშვა ბრძოლა ერებს შორის ნაციონალიზმის ნიადაგზე, ხოლო რუსეთის რევოლუციის (1917 წ.) შემდეგ დაიწყო იდეოლოგიათა ჭიდილი: კომუნიზმს, ფაშიზმსა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის. ცივი ომის დასრულება გახდა ახალი ეპოქის დასაწყისი: კონფლიქტი გამოვიდა დასავლური ფაზიდან და გარდაიქმნა დასავლურ და არადასავლურ ფაზად (გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, 2001, გვ. 202). XX საუკუნის ბოლოს იდეოლოგიების ბატონობის დასრულებამ გაზარდა რელიგიათა როლი. დაიწყო "ამბოხი დასავლეთის წინააღმდეგ" და ცივილიზაციათაშორისი დაპირისპირება. ამასთან დესტაბილიზაციის რეგიონებად მოგვევლინება ის ტერიტორიები, სადაც ცივილიზაციათა შორის საზღვრები გაივლის. გარკვეულ სირთულეებს შექმნიან ე.წ. "გახლეჩილი" ქვეყნები, ანუ ის სახელმწიფოები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ ცივილიზაციას, ხოლო პოლიტიკური ორიენტაცია სხვა ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოებსა და მათ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე აქვთ აღებული, მაგალითად თურქეთი, საბერძნეთი, მექსიკა (ზ. დავითაშვილი, 2004, გვ. 244-245).

ცივილიზაციური კონფლიქტის შესახებ მსჯელობისას ფოკუსირება ძირითადად ისლამზე ხდება. ისლამის როლის, მისი პოლიტიზაციისა და რადიკალიზაციის საქმეში შემობრუნების წერტილი გამოდგა არაბული სახელმწიფოების ფიასკო 1967 წელს ისრაელთან ექვსდღიან ომში. რადიკალური ისლამისტური მოძრაობები სწორედ ამ პერიოდიდან იღებს უკიდურესად ანტიდასავლურ ხასიათს (გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, 2001, გვ. 206). 90-იანი წლების დასაწყისში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისლამი წარმოადგენს "კრიზისის ნახევარმთვარეს" მოსაზღვრე ცივილიზაციებთან კონფლიქტების სახით ბალკანეთზე, აფრიკაში, შუა აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში, ინდოეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ფილიპინებზე (იქვე, გვ. 203). ისლამურ სამყაროში დამკვიდრებული რწმენისათვის სრულიად უცხოა დასავლური ფასეულობები და ყველაფერი ის, რაც იგულისხმება მოდერნიზმში. ისლამური ფუნდამენტალიზმი ნიშნავს რწმენას იმისა, რომ ისლამის პოსტულატები წარმოადგენს სოციალური ცხოვრებისა და პოლიტიკის, აგრეთვე, მორალის, ძირითად პრინციპებს (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 353). ისლამურ ფუნდამენტალისტებს სურთ, განამტკიცონ რელიგიის პრიმატი პოლიტიკაზე. პრაქტიკულად ეს ნიშნავს "ისლამური სახელმწიფოს", ანუ იმგვარი თეოკრატიის დაარსებას, რომელსაც

მართავს სასულიერო ხელისუფლება შარიათის კანონების მიხედვით. ისლამისტებისათვის ისლამი წარმოადგენს გლობალურ და ტოტალურ მსოფლმხედველობას და ნებისმიერი პოლიტიკური საკითხის განმსაზღვრელია. ისლამს ტოტალიტარული იდეოლოგიის სახე აქვს მიღებული (გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, 2001, გვ. 207). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ, ერთის მხრივ, ისლამი როგორც რელიგია, რომელიც აერთიანებს 50-ზე მეტ ქვეყანას, ისლამურ ერთობებს 120-მდე სახელმწიფოში და, მეორეს მხრივ, ისლამური ექსტრემიზმი, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ-კონფესიური ხასიათის აგრესიულ მოძრაობას (ნ. ჩიქოვანი, 2006, გვ. 87). განსაკუთრებით თვალსაჩინოა რელიგიის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში იმ ქვეყნებში, სადაც რელიგია და სახელმწიფო ოფიციალურად არ არიან ურთიერთგამოყოფილნი, მაგალითად, თანამედროვე ისლამური სამყარო, სადაც სეკულარიზმი აღიქმება იდენტურობისათვის მთავარ საფრთხედ. გასათვალისწინებელია ირანის ისლამური რევოლუციის მაგალითიც, ისტორიაში პირველად ისლამისტებმა მოახდინეს რევოლუცია და ხელისუფლების სათავეში მებრძოლი რადიკალი სამღვდელოება მოვიდა. ძალაუფლება გადავიდა ისლამური რევოლუციური საბჭოს ხელში, რომელიც 15 უზენაეს სასულიერო პირს აერთიანებდა აიათოლა რუჰოლა ხომეინის მეთაურობით. საბჭო უზრუნველყოფდა კონსტიტუციის შესაბამისობას ისლამური პრინციპებისადმი. ირანმა მძლავრი რევოლუციური თვითშეგნება გამოავლინა, რაც აისახა სახალხო სიძულვილში ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, აგრეთვე, სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მკაცრი ისლამური პრინციპების დანერგვაში. ისლამური რევოლუციის შედეგად წარმოშობილმა რელიგიურმა ნაციონალიზმმა ახალ სიმაღლეებს 1980-1988 წლებში, ირან-ერაყის ომის დროს მიაღწია (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 358). რელიგია, კერძოდ, შიიტური მიმართულების ისლამი, ირანული ნაციონალიზმის მთავარ კომპონენტი გახდა. ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა თავი იჩინა ლიბანშიც 1980-იან წლებში, როდესაც ქრისტიანებისა და მუსლიმების სამოქალაქო ომის შედეგად ისედაც დანაწევრებული ქვეყანა (ლიბანის სამხრეთი ნაწილი ოკუპირებული იყო ისრაელის მიერ, ჩრდილოეთ ნაწილს კი სირია დაეუფლა) ორად გაიყო. ასევე, ისლამური პარტიები ძირითადი ოპოზიციური ძალებია ალჟირში, ტუნისში, ეგვიპტეში.

იმ ისლამურ სახელმწიფოებში, სადაც რელიგიური ინსტიტუტები ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოების ცხოვრებაში, რელიგიური აღორძინების ტალღამ სახელმწიფო-სახელისუფლებო და არამარტო სახელისუფლებო ურთიერთობების თეოკრატიზაცია გამოიწვია. შედეგად, მუსლიმურ სახელმწიფოებში სულ უფრო იზრდება პოლიტიკური ისლამისა და ისლამური ფუნდამენტალიზმის როლი და მათი მიმდევრები აქტიურად ახორციელებენ რელიგიის პოლიტიზირებას, რაც გულისხმობს რელიგიური ფაქტორის გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის. კონფლიქტი ისლამსა და დასავლეთს შორის XX საუკუნის ბოლოს რამდენიმე ფაქტორმა გაამწვავა: 1. მუსლიმთა რიცხვის ზრდას მოჰყვა უმუშევართა და უკმაყოფილო ახალგაზრდობის რიცხვის ზრდა, რომელთა რიგებიდან ისლამისტები სერიოზულ შევსებას იღებდნენ; 2. ისლამის აღორძინებამ მუსლიმები კიდევ ერთხელ დაარწმუნა საკუთარი ფასეულობების განსხვავებულობასა და უპირატესობაში დასავლეთთან შედარებით;

3. დასავლეთის მუდმივმა მცდელობამ: საყოველთაოდ და უნივერსალურად ექცია თავისი ფასეულობები და ინსტიტუტები, შეენარჩუნებინა სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობა, ჩარეულიყო კონფლიქტებში მუსლიმური სამყაროს შიგნით, მუსლიმთა ძლიერი აღშფოთება გამოიწვია; 4. კომუნიზმის კოლაფსთან ერთად გაქრა დასავლეთისა და ისლამის საერთო მტერი, სანაცვლოდ თითოეული მათგანი ერთმანეთისადმი სერიოზულ საფრთხედ იქცა; 5. გაძლიერდა კონტაქტი დასავლელთა და მუსლიმთა შორის, რომელმაც ორივე მხარეს განუმტკიცა საკუთარი იდენტურობის შეგრძნება და შეგნება იმისა, რომ ეს იდენტურობა მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს და აშორებს (ს. ჰანთინგთონი, 1996). ცივილიზაციათა პრობლემატიკამ განსაკუთრებული სიმწვავე 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენათა ფონზე შეიძინა, როცა, თითქოს, რეალობად იქცა ცივილიზაციათა ურთიერთობის ჰანთინგთონისეული მოდელი (ნ. ჩიქოვანი, 2006, გვ. 59). გლობალური ტერორიზმის ტალღას საერთაშორისო შედეგები მოჰყვა. ჯორჯ ბუშის "ტერორიზმთან ომის" ეგიდით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შემტევი და, გარკვეული თვალსაზრისით, ცალმხრივი საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია. ამის მაგალითებია თალიბანის რეჟიმის დამხობა ავღანეთში და ომი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ერაყში. 2001 წლის ტერაქტის ორგანიზატორებმა სტრატეგიულ მიზანს მიაღწიეს: ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობა გადაიქცა გლობალური მასშტაბის მოვლენად, ხოლო მისი თანმხლები ტერორიზმი – გლობალურ მოთამაშედ. ტერორისტებმა ასევე გადაჭრეს ფუნდამენტალისტებისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი სტრატეგიული ამოცანაც: ჩააბეს გარეშე ძალები (აშშ და ერაყის ოკუპაციაში მონაწილე ქვეყნები) შიდა-ისლამურ სისტემურ კრიზისში, გადააქციეს ისინი ამ კრიზისის თანმხლები მოვლენების აქტიურ მონაწილეებად (ვ. მელიქიძე, 2006, გვ. 87).

თანამედროვე კონფლიქტებიდან რელიგიური ნიშნები ჩნდება ისრაელ-პალესტინის, ინდოეთ-პაკისტანის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ბოსნიის ომებში, დარფურის კონფლიქტსა და სხვა დაპირისპირებებში. *არაბულ-ისრაელური კონფლიქტი* - პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტი არაბული ქვეყნების ლიგასა და ისრაელს, არაბებსა და ისრაელელებს შორის. დაპირისპირება პალესტინელ ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა და მრავალეტაპიან კონფლიქტს 1948 წლის 14 მაისს ისრაელის სახელმწიფოს შექმნა მოჰყვა. სამშვიდობო შეთანხმებებს ხელი მოეწერა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის 1979 წელს, ისრაელსა და იორდანიას შორის 1994 წელს, 1993 წლის ოსლოს ხელშეკრულებამ პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის შექმნა განაპირობა, თუმცა საბოლოო სამშვიდობო შეთანხმებას დღემდე ვერ მიაღწია. 1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ხელი მოეწერა პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაციას. მისი მთავარი მიზანი იყო შუალედურ პერიოდში პალესტინის გარდამავალი თვითმმართველობის შექმნა მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორში[1], იმ ტერიტორიების ნაწილზე, სადაც გაერო-ს 1947 წლის

[1] ტერმინი "ღაზის სექტორი" ხელოვნურია, გამოიყენება 1947-1948 წლებიდან. ღაზის სექტორი 1948 წლამდე იყო პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატის პროვინცია. 1949 წლის დროებითი ზავით გადაეცა ეგვიპტეს. 1967 წელს ისრაელმა მოახდინა სექტორის ოკუპაცია. მოსახლეობის უმრავლესობა (1996 წლის მონაცემებით) მუსლიმია.

29 ნოემბრის 181(II) რეზოლუციით უნდა ჩამოყალიბებულიყო პალესტინის არაბული სახელმწიფო[2] (თ. ჯაფარიძე, 2000, გვ. 265). 1995 წლის 28 სექტემბერს, ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა "ისრაელთა და პალესტინელთა შუალედური ხელშეკრულება დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორის შესახებ". ამ შუალედურ ხელშეკრულებას "ოსლო II"-საც უწოდებენ. ხელშეკრულებას უარყოფითად შეხვდნენ ისლამისტი ექსტრემისტები, ისრაელის მემარჯვენე ელემენტები, ლიკუდის პარტიის ლიდერი ბ. ნეთანიაჰუ. კვლავ დაიწყო სისხლიანი შეტაკებები ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის. დაპირისპირება ისრაელსა და ღაზას შორის, რომელიც დასრულდა 2009 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით, განიხილება როგორც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის და, შესაბამისად, არაბულ-ისრაელური კონფლიქტის ნაწილი. რელიგიური ფაქტორების როლზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: ანალიტიკოსთა ნაწილი მაპროვოცირებელ ფაქტორად რელიგიას, იუდეველებსა და მუსლიმებს შორის დაპირისპირებას ასახელებს; ნაწილი კი მიიჩნევს, რომ კონფლიქტი რელიგიურ-ექტრემისტული დაჯგუფებების (მაგალითად ჰამასი[3], ისლამური ჯიჰადი[4]) ჩამოყალიბებამდე წარმოიშვა და შესაბამისად, ესკალაციასთან რელიგიური ფაქტორები არ არის დაკავშირებული. რთულია რელიგიური ასპექტების უგულებელყოფა, რადგანაც კონფლიქტის მხარეებში ეროვნული იდენტობა სწორედ რელიგიით განისაზღვრება. კონფლიქტის თანამედროვე ისტორიაში რელიგიები უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ: ებრაელებს, მუსლიმებსა და ქრისტიანებს თავიანთი უკომპრომისო პოზიციის გასამყარებლად რელიგიური არგუმენტები მოჰყავთ. თანამედროვე ეტაპზე პრობლემათა ორი ჯგუფი არსებობს: გარე ძალებთან დაკავშირებული რადიკალური ისლამური დაჯგუფებები "ჰამასი" და შიიტური "ჰეზბოლა" და მეორე – არა გარედან ხელოვნურად შექმნილი, არამედ, ობიექტურად მართლაც რთულად მოსაგვარებელი საკითხები, რომელთა გადაჭრა მოლაპარაკებათა პროცესში დღემდე ვერ მოხერხდა: ა) იერუსალიმის სტატუსი, ბ) ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები, გ) დევნილების დაბრუნება (შ. მალაშხია, 2011, გვ. 425).

---

[2] ეს სახელმწიფო 1948-1949 წლების არაბებისა და ისრაელის პირველ ომს ემსხვერპლა.

[3] ჰამას-ი არაბ. ალ-ჰარაქა ალ-მუკავამა ალ-არაბია-ს აბრევიატურაა და ნიშნავს „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობას". თავისი არსებობის შესახებ მან განაცხადა დეკლარაციით, რომელიც ღაზის სექტორსა და დასავლეთ ნაპირზე გავრცელდა 1987 წლის 12-14 დეკემბერს. მისი დამაარსებელი გახდა შეიხი აჰმედ იასინი - კაიროს აინ შამსის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ღაზის მუსლიმური ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის „მუსლიმი ძმების ხელმძღვანელი. ჰამასი ისრაელის შეურიგებელი მტერია და მოითხოვს ბრძოლას გამარჯვებამდე და სიონისტებისაგან პალესტინის სრულ განთავისუფლებას, მთელ პალესტინაში ისლამური სახელმწიფოს შექმნას და ამ მხრივ უპირისპირდება პგო-ს (პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია), რომლიც მიზანიც სეკულარული სახელმწიფოს შექმნაა (იხ. თ. ჯაფარიძე, სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ.7, თბ., 2000).

[4] პალესტინის ისლამური ექსტრემისტული ორგანიზაცია "ისლამური ჯიჰადი" აღმოცენდა ღაზის სექტორში ფუნდამენტალისტური მუსლიმური ძმობიდან 1980 წელს. "ისლამური ჯიჰადის" მიზანია პალესტინის განთავისუფლება შეიარაღებული ბრძოლით. ორგანიზაციის ტერაქტები ისრაელელთა წინააღმდეგ გაგრძელდა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის შექმნის შემდეგაც (იხ. თ. ჯაფარიძე, სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ.7, თბ., 2000).

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი 1947 წელს დაიწყო, როცა მოხდა პოსტკოლონიური გაყოფა რელიგიური ნიშნით, შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ინდოეთი და პაკისტანი, ხოლო ქაშმირის შტატი, შეთანხმების თანახმად, ინდოეთის ცენტრალურ ხელისუფლებას დაექვემდებარა. მართალია, ქაშმირი, დე იურე, ინდოეთის შემადგენლობაშია, მაგრამ, ფაქტობრივად, ნიუ დელი აკონტროლებს მხოლოდ შტატის სამხრეთ ნახევარს, პაკისტანი აკონტროლებს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, ხოლო ჩინეთი -"აკსაი ჩინს", ტიბეტის მოსაზღვრე ყველაზე მაღალმთიან, უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილს (შ. მალაშხია, 2011, გვ. 433). ინდოეთი წარმოადგენს რელიგიური თვალსაზრისით ჭრელ რეგიონს, მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობაა: ინდუსები, მუსლიმები, ქრისტიანები, სიქჰები, ბუდისტები, ჯაინიზმის მიმდევრები. 1971 წელს აღმოსავლეთ პაკისტანში, იმავე აღმოსავლეთ ბენგალში (დასავლეთი ბენგალი ინდოეთის შემადგენლობაშია) დაიწყო შეტაკებები ინდუსებს, სიქჰებს და მუსლიმებს შორის, ხოლო 1972 წლის 26 მარტს ბანგლადეში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთ აქტუალურ თემას ინდოეთ-პაკისტანის დაპირისპირება წარმოადგენს, რომელსაც საფუძვლად სწორედ რელიგიური ფაქტორები დაედო. ქაშმირში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმები წარმოადგენენ, ეთნოწმენდა ინდუსების მიმართ განხორციელდა (შ. მალაშხია, 2011, გვ. 484). ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში დიდ როლს ასრულებს რელიგიური ფაქტორი და ისლამისტური მოძრაობა, რითაც ის უშუალოდ უკავშირდება ავღანეთ-პაკისტანისა და საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემას. ინდუიზმი გარეგნულად შედარებით მკაცრად ეკიდება ფუნდამენტალიზმს. ესაა იმგვარი რელიგიის ყველაზე მკაფიო ნიმუში, სადაც აქცენტი კეთდება უფრო წეს-ჩვეულებებსა და სოციალურ პრაქტიკაზე, ვიდრე ტექსტებსა და დოქტრინებზე. მიუხედავად ამისა, ფუნდამენტალისტური მოძრაობა მაინც ჩამოყალიბდა ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად. (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 363). ინდოეთში ინდუისტური, სიქჰური და ისლამური ფუნდამენტალიზმის გამოვლინებებს აქვს ადგილი. აქვე უნდა აღინიშნოს სიქჰური ფუნდამენტალიზმის თავისებურება: იბრძვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის და არ კმაყოფილდება ეროვნული თვითმყოფობის აღდგენით არსებული სახელმწიფოს ფარგლებში. სიქჰური ფუნდამენტალიზმი ლიბერალურ ნაციონალიზმს ჰგავს, თუმცა ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ეროვნებას რელიგიურ მთლიანობად მიიჩნევს.

ჩრდილო ირლანდია — გაერთიანებული სამეფოს ნაწილი, უკავია კუნძულ ირლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. 1921 წლის ანგლო-ამერიკული შეთანხმებით ჩრდილოეთ ირლანდია (იგივე ოლსტერი) ინკორპორირებულ იქნა დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში. მოსახლეობის 46% პროტესტანტია, 40% - კათოლიკე. პროტესტანტების უმრავლესობა იმ შოტლანდიელთა და ინგლისელთა შთამომავალია, რომლებიც XVII საუკუნეში გადმოსახლდნენ კუნძულზე. 1922 წლის 6 დეკემბერს, როცა, ანგლო-ირლანდიური შეთანხმების შესაბამისად, გამოცხადდა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო, ჩრდილო ირლანდიის (ოლსტერის 6 საგრაფო) პარლამენტმა ბრიტანეთის სამეფოში დარჩენა ამჯობინა. გამოყოფის მიზეზად სწორედ რელიგიური ფაქტორი

წარმოჩინდა. ჩრდილო ირლანდიაში მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის იდენტიფიკაციისათვის მახასიათებელი არის რელიგიური კუთვნილება: პროტესტანტი გულისხმობს ირლანდიის გაერთიანების მოწინააღმდეგეს, კათოლიკე, კი, პირიქით – გაერთიანების მომხრეს (შ. მალაშხია, 2011, გვ. 546). ფუნდამენტალიზმმა ჩრდილოეთ ირლანდიაში ეთნიკური ნაციონალიზმის გამოაშკარავებას შეუწყო ხელი, ოლსტერის პროტესტანტთა ფუნდამენტალიზმი შეესატყვისება მათ ეროვნულ თვითმყოფობას, მათ "ბრიტანულობას", ანუ ეთნიკურ არსს (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 363).

შრი-ლანკა – 1972 წელს ცეილონი[5] შრი-ლანკის რესპუბლიკად გარდაიქმნა და ამ სახელით გაწევრიანდა ბრიტანეთის თანამეგობრობაში. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაა: სინჰალები - 75%, ტამილები - 17%, მავრები – 7%, ბიურგერები (ევროპელების შთამომავლები) – 0,3%, ვედები (უძველესი მოსახლეობა) – 1,5 ათასამდე. სინჰალების თვითიდენტიფიკაციისათვის უმნიშვნელოვანესია რელიგიური ფაქტორი. ტამილთა თვითიდენტიფიკაცია კი რელიგიურზე მეტად ეთნიკურ ფაქტორს ემყარება. ტამილების რაოდენობა კუნძულზე გაიზარდა ბრიტანელთა მმართველობის დროს[6]. 60-იან წლებში ცეილონის მთავრობამ ტამილების შთამომავლობას მოქალაქეობა ჩამოართვა და ინდოეთში მათი დეპორტაცია დაიწყო. მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის საპასუხოდ შეიქმნა "ტამილთა განთავისუფლების გაერთიანებული ფრონტი", რომელიც პროტესტის მშვიდობიანი მეთოდებით მოქმედებდა (შ. მალაშხია, 2011, გვ. 583). 1976 წელს მათ მოითხოვეს ტამილთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. 1978 წელს დაიწყო პოლიტიკური კონფლიქტი ტერიტორიათა გამიჯვნასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების გამო. ამ დროიდანვე ჩნდება ტამილთა შეიარაღებული ჯგუფები. 1997 წლიდან "ტამილის ვეფხვები" ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორისტული ორგანიზაციების სიაში იქნა შეტანილი. 2002 წელს ნორვეგიის შუამდგომლობით გამართული მოლაპარაკებების შედეგად ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას შრი-ლანკის მთავრობასა და "ტამილის ვეფხვებს" შორის, ტამილებს, დამოუკიდებლობაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ფართო ავტონომიური უფლებები გადაეცათ. 2005 წლიდან კვლავ გაგრძელდა თავდასხმები და ტერაქტები. 2009 წლის იანვარში სამთავრობო ჯარებმა დაიკავეს ამბოხებულთა დედაქალაქი კილინოჩი. "ტამილელმა ვეფხვებმა" აღიარეს დამარცხება და შეწყვიტეს წინააღმდეგობა, კონფლიქტის ზონა 120 ათასზე მეტმა ლტოლვილმა დატოვა. დღემდე ამ კონფლიქტს დაახლოებით 100 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ბუდისტური ნაციონალიზმის გავრცელება შრი-ლანკაში ძირითადად განხორციელდა, როგორც კონფლიქტი უფრო მრავალრიცხოვან ბუდისტურ მოსახლეობას – სინჰალელებსა და, მეორე მხრივ, ტამილებს შორის, რომლებიც ინდუისტებს, ქრისტიანებსა და მუსლიმებს აერთიანებენ. მიუხედავად იმისა, რომ ბუდიზმი გარეგნულად – სავალდებულო

[5] 1948 წელს კუნძული, ცეილონის სახელწოდებით, დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა ბრიტანეთის დომინიონის სახით.

[6] ინგლისელებმა, ჩაის წარმოების გაფართოების მიზნით, ტამილები მასობრივად გადმოასახლეს კუნძულზე სამხრეთ ინდოეთიდან. ინდოეთის საზოგადოების ტრადიციული კასტური დაყოფა ტამილებს უმდაბლეს საფეხურს მიაკუთვნებდა და ჩაის მოყვანის შრომატევად სამუშაოს, ძირითადად, სწორედ ისინი ასრულებდნენ.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, რელიგიური შემწყნარებლობის და ძალმომრეობით მეთოდებზე უარის მხრივ— ყველაზე ნაკლებად ფუნდამენტალისტური რელიგიაა, ხელი შეუწყო ფუნდამენტალისტური ტიპის მოვლენებს, როცა ურთიერთს გადაეჯაჭვა ნაციონალიზმი და მოძრაობა რელიგიური აღორძინებისათვის (ე. ჰეივუდი, 2005, გვ. 365). შრი-ლანკაში კამპანიას ეროვნული თვითმყოფობის "სინჰალიზაციისათვის" სათავეში ჩაუდგა სამხედრო დაჯგუფება "თავისუფლების სახალხო ფრონტი", რომელიც ბუდიზმის სახელმწიფო რელიგიად ქცევას მოითხოვდა. მსგავსმა ზეწოლამ ტამილთა სეპარატიზმი გააღვივა, რაც 70-იანი წლების ბოლოს "ტამილელი ვეფხვების" ტერორისტულ კამპანიაში გადაიზარდა. ცხადია, ბუდისტური ფუნდამენტალიზმი მჭიდროდ უკავშირდება ეთნიკური კონფლიქტის გამწვავებას.

ბოსნია და ჰერცეგოვინა ფედერაციულ-კონფედერაციული სახელმწიფოა, რომლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაა: ბოშნიაკები, სერბები, ხორვატები, თუმცა ბოშნიაკები ცალკე რელიგიური ჯგუფებია და არა ეთნიკური, რადგან ხორვატებისა და სერბებისაგან მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი რელიგიური აღმსარებლობაა. ბოშნიაკები მუსლიმები არიან, სერბები-მართლმადიდებლები, ხოლო სლოვენები – კათოლიკეები (შ. მალაშხია, 2011, გვ. 271). 1992 წელს ევროკავშირმა და აშშ-მა სცნო ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობა, იმავე წელსვე გახდა გაეროს წევრი. 1995 წლის 21 ნოემბერს აშშ-ში, დეიტონის სამხედრო-საჰაერო ბაზის ტერიტორიაზე, 20-დღიანი მოლაპარაკების პროცესის შედეგად, პარაფირებულ იქნა ჩარჩოხელშეკრულება ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ცენტრალური ხელისუფლების ფუნქცია დაეკისრა სამწევრიან პრეზიდიუმს: სამი ძირითადი ეთნო-რელიგიური ჯგუფის მიერ არჩეული თითო წარმომადგენლით, ორპალატიან პარლამენტსა და ცენტრალურ მთავრობას. აღნიშნულ კონფლიქტში რელიგიური ფაქტორები განმსაზღვრელ როლს ასრულებს. ბოსნიელმა სერბებმა თავიანთ მაჰმადიან თანამოქალაქეებს, ანუ ბოსნია-ჰერცეგოვინის მოსახლეობის უმრავლესობას, გენოციდი და ეთნოწმენდა მოუწყვეს. ამის გამო დაუპირისპირდა მილოშევიჩისა და კარაჯიჩის მომხრე სერბებს მთელი საერთაშორისო საზოგადოება და ნატოს მიერ მათი პოზიციების დაბომბვა, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციით ხორციელდებოდა, გენოციდისა და ეთნოწმენდის მსხვერპლთა დაცვას და მსგავსი მოვლენების პრევენციას ისახავდა მიზნად (შ. მალაშხია, 2011, გვ. 313). ბოსნიის კონფლიქტი (II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი) უმეტესწილად შიდა, ეთნიკური ხასიათისა იყო, თუმცა მასში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სერბეთი და ხორვატია. ამ კონფლიქტს თან ახლდა მასშტაბური ჰუმანიტარული ფაქტორის არსებობა: მეომარი მხარეების მიერ სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი ძალდატანებითი გადაადგილება – მუსლიმების, ხორვატებისა და სერბების, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, მოსახლეობის გეგმაზომიერი განადგურება.

ამგვარად, რელიგიური ფუნდამენტალიზმი ერთ-ერთ განმსაზღვრელ როლს ასრულებს პოლიტიკურ მოვლენებში. ისრაელის ებრაელ ახალმოშენეთა მოძრაობაში, შრი-ლანკას სინჰალელთა ბუდიზმის საომარ სულისკვეთებაში, ინდოელებისა და სიქჰების ექსტრემიზმსა და ოლსტერის პროტესტანტთა

წინააღმდეგობაში ირლანდიის გაერთიანების მიმართ რელიგიურმა ფუნდამენტალიზმა თავი იჩინა როგორც ეთნიკურმა მობილიზაციამ. ისლამიზმმა დაიკავა ის ადგილი, რომელიც ადრე პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთ და ნაციონალისტურ მოძრაობებს ეკავათ. კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მუსლიმი ხალხები წარსულში შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ისლამს. ამჟამად კი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა – ეროვნული საკითხის ნაცვლად წინა პლანზე გამოვიდა რელიგია. ერსაც ისლამისტები აღიქვამენ მუსლიმური სამყაროსათვის უცხო ცნებად და კოლონიალიზმის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის ერთ-ერთ გამოხატულებად (გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, 2001, გვ. 207). დღეისათვის მსოფლიოს სახელმწიფოთა ურთიერთკავშირი სულ უფრო მყარ ხასიათს იღებს, შესაბამისად ძნელდება საზოგადოების გარდაქმნა რელიგიური პროექტების შესაბამისად, მათ შეიძლება შეცვალონ რეჟიმის სახე (ირანის მაგალითი), თუმცა ნაკლებად შეუძლიათ ზემოქმედება საერთაშორისო წესრიგზე.

დამოწმებული ლიტერატურა

ჰ. კიუნგი, 2006 - ჰანს კიუნგი, მსოფლიო მშვიდობა – გამოწვევა მსოფლიო რელიგიებისათვის, ქრისტიანობა და პოლიტიკა, ბ., №1, 2006.

ენ. ჰეივუდი, 2005 - ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბ., 2005.

გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, 2001 - გ. სანიკიძე, ნ. კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2001.

ს. ჰანთინგთონი, 1996 - Huntington S. The Clash of Civilizations and Remaking of the World order. N.Y., 1996.

ჯ. ფოქსი, 2005 - ჯონათან ფოქსი, ეთნორელიგიური კონფლიქტები მესამე სამყაროში: რელიგიის როგორც კონფლიქტის მიზეზის როლი, კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი, 2005.

ზ. დავითაშვილი, 2004 - ზ. დავითაშვილი, საქართველო და დასავლეთი - "გახლეჩილი ქვეყნის" სინდრომი, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 11, თბ., 2004.

ნ. ჩიქოვანი, 2006 - ნ. ჩიქოვანი, რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში, თბ., 2006.

ვ. მელიქიძე, 2006 - ვ. მელიქიძე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2006.

თ. ჯაფარიძე, 2000 - თ. ჯაფარიძე, სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 7, თბ., 2000.

შ. მალაშხია, 2011 - შ. მალაშხია, კონფლიქტების ანატომია, თბ., 2011.

DAVIT GEGETCHKORI, IRMA GOGOLIDZE

INTERNATIONAL CONFLICTS AND RELIGIOUS FUNDAMENTALISM

During the world political processes the role of religious fundamentalism is most important. We know many examples which are defined by religious character: civil war between Catholics and Protestants in the North Ireland; conflict of near west, clashes in Philippines between Muslims and Christians, the rise of authoritarian regimes in Iran, Sudan and Afghanistan; numerous terrorist acts in the near west, Europe and USA; clashes in Kashmir and India; conflict between Hindi and Sikhs in Punjab, war between Buddhist and Hindi in Sri Lanka... After the collapse of communism it is thought that Marxism is terms of being a threat to world safety was replaced by religious , in particular Islamic fundamentalism.

Nowadays religious fundamentalism is associated with all the basic world religions and means more religious-political movement, than assertion of the truth of sacral texts. In those Islamic states where religious institutions play important roles in the life of society, religion uprising wave made state-government relations and not only this kind of relations being led by theocracy. Consequently, the role of political Islam and Islamic fundamentalism gradually rises and its followers implement politicization of religion in an active way.